საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

2024 წლის

ანგარიში

შესავალი

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ (შემდეგში - ,,მაუწყებელი“) 2024 წლის განმავლობაში სამაუწყებლო საქმიანობას ახორციელებდა დადგენილი საკანონმდებლო მოთხოვნების, განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტებისა და საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად.

მაუწყებელი ხელმძღვანელობს პროგრამული პრიორიტეტების პრინციპით, რაც გულისხმობს არა კონკრეტული პროექტების განხორციელებაზე ორიენტირებას, არამედ საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების დასახვას. აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს, მაყურებლისათვის/მსმენელისათვის შინაარსობრივად საინტერესო გადაცემების დაგეგმვასა და მომზადებას მაღალპროფესიულ დონეზე.

სამაუწყებლო პოლიტიკა

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სამაუწყებლო პოლიტიკას განსაზღვრავს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ და პროგრამული პრიორიტეტები, რომელსაც შეიმუშავებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპი ასახულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტში: „კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან“.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს შინაარსობრივ ვალდებულებებს, რომლებიც მოიცავს: პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობას, სამართლიანობასა და მიუკერძოებლობას, საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამის თანასწორობას ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის, აუდიტორიის დროულ და ყოველმხრივ ინფორმირებას საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, საუკეთესო დროს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე, წინასაარჩევნო დებატების გადაცემას, პროგრამების მრავალფეროვნებას და მასში საზოგადოების კულტურული, ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური და ასაკობრივი მრავალფეროვნების წარმოჩენას, ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით საბავშვო პროგრამების განთავსებას და ა.შ.

მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტები

პროგრამული პრიორიტეტები მოიცავს მრავალფეროვან კომპონენტებს, მათ შორის:

- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების და განსაკუთრებით, ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაციის/გაწევრიანების პოპულარიზაცია;
- მაქსიმალურად გამოიყენოს მაუწყებლის ინტელექტუალური, ტექნიკური და ფინანსური რესურსი და ამომწურავად გააშუქოს საარჩევნო კამპანიის მსვლელობა, აგრეთვე, წინასაარჩევნო დებატები;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი, აგრეთვე, ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას.
- უზრუნველყოს აუდიტორიაში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების, ნოვაციებისა თუ ტენდენციების შესახებ მრავალმხრივი სამეცნიერო და პოლიტიკური ცოდნის/ცნობიერების აკუმულირება მაუწყებლობაში „განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე“ პრინციპის დანერგვის გზით;
- გააძლიეროს ჰიბრიდულ გამოწვევებთან პროაქტიული საინფორმაციო ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის საკითხების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების, ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობის, მათ შორის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული ვითარების, ასევე, სამშვიდობო პროცესების გაშუქების გზით.

• საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო არის უპირველესად რეგიონალური მნიშვნელობის მაუწყებელი და მისი პრიორიტეტი უნდა იყოს რეგიონალური ამბების გაშუქება.

• საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიამ და რადიომ პროგრამულ პრიორიტეტად უნდა დაისახოს საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონების კულტურული და ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია. ხელი შეუწყოს ამ რეგიონების შესახებ საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას და ტურისტების მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოზიდვას. უნდა შეიქმნას სპეციალური ციფრული პლატფორმა, სადაც უცხოენოვანი მოსახლეობისთვის დამზადდება ამ პოტენციალის ამსახველი მედიაპროდუცია.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2024-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტები განსაზღვრულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 14 დეკემბრის N570 გადაწყვეტილებით.

იხ. დოკუმენტი:

https://ajaratv.ge/files/shares/570.pdf

მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგი

2024 წლის განმავლობაში ტელევიზიის სამაუწყებლო ბადეში განთავსებული იყო შემდეგი პროგრამები:

საავტორო გადაცემები:

1. „ერთი დღე სოფელში“ - გადაცემა სოფლის ისტორიებზე;
2. „ეთნოფორი“ - ეთნიკური კულტურა, ხალხური სიმღერა;
3. „მე ვარ ფერმერი“- გადაცემა მეურნეობის შესახებ;
4. „პროექცია“- ინტერვიუები საინტერესო ადამიანებთან;
5. „თეთრი კვადრატი“ - გადაცემა კინოხელოვნების შესახებ;
6. „ბუნების კანონი“- გადაცემა ბუნების დაცვაზე;
7. „ბიბლიოთეკა“ - გადაცემა ლიტერატურის შესახებ;
8. „სცენა“ - გადაცემა თეატრალურ ცხოვრებაზე;
9. „ვემსახურები საქართველოს“- სამხედრო-შემეცნებითი გადაცემა;
10. „ევრომაქსი- DW“ (დოიჩე ველეს პროექტი);
11. “სახალხო კონტროლი“;
12. „ტელესპექტაკლები“;
13. „ისწავლე საქართველოსთვის“;
14. საავტორო დოკუმენტური ფილმები;
15. „მუზ-own“-გადაცემა მუსიკის შესახებ;
16. „ტელეპორტალი“ - შემეცნებითი;
17. „ბიომეტრია“ - დიალოგი საინტერესო ადამიანებთან;

გარე წარმოება:

1. „გასტრომოყვარული“ - კულინარიული გადაცემა;
2. „დარტსი“- საბავშვო და მოზარდებისთვის განკუთვნილი გადაცემა;
3. „მოგზაურის დღიური“ - გადაცემა სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობის შესახებ.
4. „ქლაფერი“ - გადაცემა ელექტრონული მუსიკის შესახებ;
5. „სასწაულის ძიებაში“ - გადაცემა საინტერესო ფაქტებსა და ადამიანებზე;
6. „ყავა ბათუმურად“ - ინტერვიუ საინტერესო ადამიანებთან;
7. „პროექციაში“- ინტერვიუ საინტერესო ადამიანებთან;

8. „ჩემი კუთხის მასპინძელი“ - კულინარიული გადაცემა;

თოქ-შოუები:

1. „სპორტკლუბი“ - სპორტული გადაცემა;
2. „იმპულსი“ - სამედიცინო გადაცემა;
3. „არტ-ექსპრესი“ -კულტურის შესახებ;
4. „Zoom განათლებაზე“;
5. „მთავარი ეკონომიკაში“;
6. „დილის ტალღა“ - გასართობ-შემეცნებითი გადაცემა;
7. „დიდი შესვენება“ - შუადღის შოუ;
8. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი“;
9. „მთავარი აჭარაში ლაშა ზარგინავასთან ერთად“ - საზოგადოებრივ-პოლიტიკური;
10. „თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად“;
11. „სათქმელი ირინა ყურუასთან ერთად“;
12. „რაკურსი ევროპისკენ“;
13. „გზამკვლევი“.

საანგარიშო პერიოდში რადიოს საეთერო ბადეში განთავსებული იყო შემდეგი გადაცემები:

1. დილის შემეცნებით-გასართობი გადაცემა ''დილის რადიო '';
2. „კომპეტენტური პასუხი“ - რადიოს ანალიტიკური გადაცემა;
3. „ჩვენ და თვითმმართველობა“;
4. „კონტაქტი“;
5. „ღია ეთერი“;
6. „სპორტი“;
7. „ეკო სამყარო“;
8. შემეცნებით-გასართობი გადაცემა „საღამო მშვიდობისა“;
9. ყოველდღიური შემეცნებით-გასართობი გადაცემა „შუა დღის ხაზი“;
10. „FM -ფანტაზიები“;
11. „სილამაზის ფორმულა“;

12. „რადიო ბაქანი“;

13. „მრავალწერტილი“.

გარე წარმოება:

1. „ბათუმური დღიურები“;
2. „ჩემი ალტერნატივა“;
3. „რეტრო ფონი“;
4. „აკოლადა“;
5. „რადიო პიესები“;
6. „ანდანტე“.

რუბრიკები:

1. „დაუსრულებელი პლეილისტი“ - მუსიკალური სიახლეების შესახებ;
2. „არტ ფაილი“ - ლიტერატურული სარჩევი, საინტერესო ფაქტების და მოვლენების შესახებ;
3. „100 ლექსი“ - ქართველი პოეტების რჩეული ლექსები;
4. „განძი ხელთუქმნელი“ - ქართული ფოლკლორის ნიმუშები;
5. „ალგორითმი“ - თანამედროვე ციფრული სამყარო;
6. „პროფესია მშობელი“ - რჩევები მშობლებისთვის;
7. „გოგონა დიქტოფონით“ - პროფესია და ადამიანები;
8. „მარსელ პრუსტის კითხვარი“ - ბლიც ინტერვიუები;

სამომავლო პროგრამათა განრიგი:

√ 2025 წლის 10 აპრილიდან სატელევიზიო ბადეში განთავსდა გარე წარმოების ახალი სატელევიზიო პროექტი „სტარტაპერები“;

√ 2025 წლის 3 აპრილიდან რადიოს ბადეში განთავსდა ახალი სპორტული გადაცემა „სპორტული სიხშირე“.

დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის ეთერში კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განთავსდა გარე წარმოების ფარგლებში დამზადებული შემდეგი პროგრამები:

1	ი/მ ალექსანდრე თხილაიშვილი	კულინარიული ტურიზმის თემაზე სატელევიზიო გადაცემა "გასტრომოყვარული“
2	ი/მ თორნიკე ფსუტური	ტურიზმის შესახებ სატელევიზიო გადაცემა "მოგზაურის დღიური"
3	ი/მ თენგიზ ვადაჭკორია	საბავშვო თემატიკის სატელევიზიო გადაცემა -"დარტსი"
4	შპს "მოამბე"	შემეცნებით-გასართობი რადიოგადაცემა უცნობი ბათუმის თემაზე
5	ი/მ ლაშა გაბუნია	რადიოს შემეცნებით/გასართობი/მუსიკალურ-საინფორმაციო გადაცემა "აკოლადა"
6	ი/მ ნატო თურმანიძე	რადიოს მუსიკალურ-შემეცნებითი გადაცემა "რეტროფონი"
7	ი/მ დავით ჟორჟოლაძე	რადიოგადაცემა "ჩემი ალტერნატივა"
8	ი/მ მევლუდი ჭუმბურიძე	კულტურული, საგანმანათლებლო და შემეცნებითი სატელევიზიო გადაცემა "ქლაფერი"
9	შპს "ფროდაქშენ 42"	სატელევიზიო გადაცემა "სასწაულის ძიებაში
10	ი/მ მარინე გერმანიშვილი	დოკუმენტური ფილმი "ანტიგონეს პროექცია რკინის თეატრში"
11	ი/მ ნიკა ვერძაძე	ტურისტული სატელევიზიო ვიდეოარტები "იმოგზაურე საქართველოში"
12	ა(ა)იპ "სოფიტი 1964"	ტელესპექტაკლი "განმათებელი"
13	შპს "კადრი"	გასართობ-შემეცნებითი გადაცემა "პროექციაში"
14	ი/მ გიორგი შკუბულიანი	კულინარიული რუბრიკა „შენი კერძი“,
15	ი/მ კახაბერ შარტავა	კულინარიული გადაცემა "ჩემი კუთხის მასპინძელი"
16	ი/მ გიორგი ბერიძე	რადიო გადაცემა "ანდანტე"

საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგები

2024 წელს მაუწყებლის მიერ არ განხორციელებულა საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევა.

განხილული საჩივრების რაოდენობა და შინაარსი

მაუწყებლის მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განხილული საჩივარი

2024 წელს მაუწყებელში არ შემოსულა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განსახილველი საჩივრები.

საჯარო განხილვების შინაარსი და მოქალაქეთა წინადადებები

2024 წელს მაუწყებელში არ შემოსულა მოქალაქეთა წინადადებები და არ განხორციელებულა საჯარო განხილვები.

საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოები

2024 წელს მაუწყებელს არ ქონია გაფორმებული ხელშეკრულებები საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრული ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირებთან.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მომავალი წლის ბიუჯეტი

მაუწყებლის 2025 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის შესაბამისად, 18 935 480 ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების თანხამ შეადგინა 16 944 266 ლარი, გარდამავალმა ნაშთმა - 1 491 214 ლარი, კომერციული შემოსავლების ოდენობა განისაზღვრა 140 000 ლარით, ხოლო სხვა არასაოპერაციო შემოსავალი კი - 360 000 ლარით.

საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი - 17 197 000
საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი - 1 546 480
ფინანსური ხარჯი - 192 000
მთლიანი ბიუჯეტი:- 18 935 480

ანგარიში

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
2024 წლის ბიუჯეტის
შესრულების შესახებ

ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

„საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულმა 2024 წლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 17.376.473 ლარი.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს მიერ 2024 წლის განმავლობაში ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 16.495.183 ლარი. აქედან, 15.947.544 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, ხოლო 547.639 ლარი კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2024 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულმა ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 16.215.296 ლარი.

2024 წლის დასაწყისში მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 1.232.479 ლარს, წლის დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 1.491.215 ლარი.

2024 წლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

ხარჯების დასახელება	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	გადახრა/სხვაობა	%
დირექტორი და დაქვემდებარებული პირები	406.560	346.280	60.280	85,2%
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	2.232.862	2.048.115	184.747	91,7%
ახალი ამბები	2.949.160	2.746.387	202.773	93,1%
მედია	6.509.456	6.426.410	83.046	98,7%
ტექნიკური ხარჯი	3.480.953	3.354.332	126.621	96,4%
ტექნიკური აღჭურვა	1.593.282	1.096.649	496.633	68,8%
სხვა სამაუწყებლო ხარჯი	50.000	49.975	25	99,9%
ფინანსური ხარჯი	154.200	147.148	7.052	95,4%
სულ ჯამი:	**17.376.473**	**16.215.296**	**1.161.177**	**93,3%**

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2024 წლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 1 მლნ 161 ათასი ლარით ნაკლები.



შრომის ანაზღაურება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს 2024 წლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 9.522.072 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9.137.256 ლარი.

ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა შეადგინა 384,8 ათასი ლარით ნაკლები.

2024 წლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება მუხლების მიხედვით:

ხარჯების დასახელება	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	გადახრა/სხვაობა	%
დირექტორი და დაქვემდებარებული პირები	406.560	346.280	60.280	85,2%
ადმინისტრაცია	442.356	395.890	46.466	89,5%
ახალი ამბები	2.535.060	2.374.766	160.294	93,7%
მედია	3.822.156	3.792.521	29.635	99,2%
ტექნიკა	2.315.940	2.227.798	88.142	96,2%
სულ ჯამი:	**9.522.072**	**9.137.256**	**384.816**	**95,7%**

❖ შრომის ანაზღაურების დიაგრამა:



მივლინება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს 2024 წლის ბიუჯეტით სამივლინებო თანხა განისაზღვრა 693.800 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 653.586 ლარი.

ფაქტობრივმა სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 40,2 ათასი ლარით ნაკლები.

2024 წლის სამივლინებო ხარჯები მუხლების მიხედვით:

ხარჯების დასახელება	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	გადახრა/სხვაობა	%
ადმინისტრაცია	35.000	28.310	6.690	80,9%
ახალი ამბები	283.200	283.182	18	99,9%
მედია	371.600	338.104	33.496	91,0%
ტექნიკა	4.000	3.990	10	99,8%
სულ ჯამი:	**693.800**	**653.586**	**40.214**	**94,2%**

❖ სამივლინებო ხარჯების დიაგრამა:



კაპიტალური ინვესტიცია

2024 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა შემდეგი კაპიტალური ხარჯები:
ტექნიკური აღჭურვა:

კამერები	148.542
კომპიუტერული ტექნიკა	126.005
სტუდიური აპარატურა	391.200
სხვა დანარჩენი ტექნიკა	430.902
სულ:	1.096.649

❖ კაპიტალური ინვესტიციების პროცენტული მაჩვენებელი:



ლიცენზიები/გადაცემები

მაუწყებლის მიერ 2024 წლის განმავლობაში მექანიკური პროდუქციისა და მუსიკალური ნაწარმოები/კატალოგის შესყიდვაზე გადახდილ იქნა 1.175.438 ლარი, რადიომაუწყებლობისა და ქსელური უსაფრთხოების პროგრამულ განახლებებზე/ლიცენზიებზე 32.328 ლარი, გარეწარმოების გადაცემების შესყიდვაზე 1.053.009 ლარი, ხოლო სპორტულ ღონისძიებების მომსახურებაზე კი 110.375 ლარი.

მექანიკური პროდუქცია&მუსიკალური ნაწარმოები/კატალოგი	1.175.438
პროგრამის განახლება/ლიცენზია	32.328
გარეწარმოების გადაცემები	1.053.009
სპორტული ღონისძიებები	110.375
სულ:	2.371.150

❖ შესყიდვების პროცენტული მაჩვენებელი



ფინანსური ხარჯი

მაუწყებლის მიერ 2024 წლის განმავლობაში გაწეულ იქნა შემდეგი ფინანსური ხარჯები:

საგადასახადო გადასახდელები	**147.148**

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ/ᲐᲠᲐᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ

2024 წელს მაუწყებლის მიერ საკუთარი სახსრებით დარიცხულმა შემოსავლებმა შეადგინა 547.639 ლარი. აღნიშნული თანხიდან სასპონსორო და სარეკლამო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი იყო 64.963 ლარი, საიჯარო შემოსავალმა შეადგინა 169.236 ლარი, დეპოზიტზე დარიცხული პროცენტებიდან შემოსასავლი იყო 313.054 ლარი, ხოლო სხვა კომერციულმა შემოსავლებმა კი შეადგინა 386 ლარი.

2024 წლის კომერციული/არასაბიუჯეტო შემოსავლები:

სასპონსორო და სარეკლამო მომსახურება	64.963
საიჯარო მომსახურება	169.236
შემოსავლები დეპოზიტზე დარიცხული პროცენტებიდან	313.054
სხვადასხვა შემოსავალი	386
ჯამი:	547.639

❖ ᲐᲠᲐᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ



დეტალური ინფორმაცია 2024 წელში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

2024 ᲬᲔᲚᲘ

❖ დეტალური ინფორმაცია მაუწყებლის მიერ 2024 წელში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ

პერიოდი: 01/01/2024- 31/12/2024
ვალუტა: ლარი

კოდი	ანგარიშის დასახელება	სულ
1-0-0-00	**საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი**	**14.971.499**
1-1-0-00	**დირექტორი და დაქვემდებარებული პირები**	**346.280**
1-1-1-00	*შრომის ანაზღაურება*	*346.280*
1-2-0-00	**საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი**	**2.048.115**
1-2-1-00	*შრომის ანაზღაურება*	*395.890*
1-2-2-00	*მივლინება*	*28.310*
1-2-3-00	*რეკლამა და ბრენდირება*	*173.359*
1-2-4-00	*კომუნალური ხარჯები*	*128.263*
1-2-5-00	*ავტოპარკი*	*297.338*
1-2-6-00	*საოფისე ხარჯი*	*1.013.456*
1-2-7-00	*წარმომადგენლობით ხარჯი*	*11.499*
1-3-0-00	**ახალი ამბები**	**2.746.387**
1-3-1-00	*შრომის ანაზღაურება*	*2.374.766*
1-3-2-00	*მივლინება*	*283.182*
1-3-3-00	*უცხური საინფ. სააგ/სიგნალის გადმოგორება*	*71.414*
1-3-4-00	*სტუდიების განახლება*	*12.154*
1-3-5-00	*შესყიდვები ახალი ამბები*	*4.871*
1-4-0-00	**მედია**	**6.426.410**
1-4-1-00	*შრომის ანაზღაურება*	*3.792.521*
1-4-2-00	*მივლინება*	*338.104*
1-4-3-00	*გარეწარმოება*	*1.053.009*
1-4-4-00	*უცხოური და ქართული მხატვრული ფილმები, სერიალები, დოკუმენტური ფილმები, ანიმაცია*	*1.092.444*
1-4-5-00	*საავტორო უფლებების ჰონორარი, მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენების უფლება*	*82.994*
1-4-7-00	*შესყიდვები მედია*	*67.338*
1-5-0-00	**ტექნიკური ხარჯი**	**3.354.332**
1-5-1-00	*შრომის ანაზღაურება*	*2.227.798*
1-5-2-00	*მივლინება*	*3.990*
1-5-3-00	*ვებ მაუწყებლობის და სიგნალის გავრცელების ხარჯები*	*615.414*
1-5-4-00	*სხვა არასაინვესტიციო ხარჯი*	*507.130*
1-7-0-00	**სხვა სამაუწყებლო ხარჯი**	**49.975**
1-7-3-00	*სპორტული სიგნალები და სპორტული სააგენტოები*	**49.975**
2-0-0-00	**საინვესტიციო საქმინობაზე გაწეული ხარჯი**	**1.096.649**
2-2-0-00	**ტექნიკური აღჭურვა**	**1.096.649**
2-2-1-00	*კამერები*	*148.542*
2-2-2-00	*კომპიუტერული ტექნიკა*	*126.005*
2-2-3-00	*სტუდიური აპარატურა*	*391.200*
2-2-5-00	*სხვა დანარჩენი ტექნიკის შესყიდვა*	*430.902*
3-0-0-00	**ფინანსური ხარჯი**	**147.148**
3-1-0-00	**საგადასახადო გადასახდელები**	**147.148**
3-1-1-00	*დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის)*	*145.193*
3-1-2-00	*ქონების გადასახადი*	*1.713*
3-1-3-00	*მიწის გადასახადი*	*242*
	სულ ხარჯი	**16.215.296**

შიდა აუდიტის სამსახურის წლიური (2024 წელი) ანგარიში

შესავალი

აღნიშნული ანგარიში შედგენილია ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ'' საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად და მოიცავს ინფორმაციას 2024 წლის პირველი იანვრიდან 2025 წლის პირველ იანვრამდე სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" (შემდგომში- მაუწყებელი) შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის თაობაზე.

მოკლე მიმოხილვა

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი აღწერს, რომ "შიდა აუდიტი-დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობაა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინირებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას"

აღნიშნულიდან გამომდინარე შიდა აუდიტის ფუნქციაა უზრუნველყოფს ორი ძირითადი ტიპის საქმიანობის განხორციელება, რომლებიც განსხვავდება თავისი არსით:

- მარწმუნებელი მომსახურება
- საკონსულტაციო მომსახურება.

ინფორმაცია შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ განხორციელებული

საქმიანობის შესახებ

ინფორმაცია განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებების შესახებ

მაუწყებლის შიდა აუდიტის სამსახური საქმიანობას ახორციელებს **შიდა აუდიტის წლიური** გეგმის შესაბამისად. წლიური გეგმა, საანგარიშო წლის დაწყებამდე შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის წარდგინებით მტკიცდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.

გეგმის შედგენა ხდება პრიორიტეტების შეჯერების, მნიშვნელოვანი სფეროების გამოკვეთის საფუძველზე. სისტემაში შემავალი თითოეული რგოლის წინაშე არსებული რისკების გამო შიდა აუდიტის სამსახურის შესწავლისა და ანალიზის საგანი (შიდა აუდიტის ობიექტი) მრავალრიცხოვანია, მაგრამ გეგმის შედგენისას მხედველობაში მიიღება როგორც დრო, ასევე ადამიანური რესურსი.

თითოეული შიდა აუდიტორული შემოწმებისათვის შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი შეიმუშავებს და ამტკიცებს შიდა აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს შიდა აუდიტის მოქმედების სფეროს, ამოცანებს, ხანგრძლივობას, რესურსების განაწილებას, შიდა აუდიტის განხორციელების მეთოდებს, ფარგლებს, აუდიტის სახეს და სხვა.

შიდა აუდიტის სამსახურმა 2024 წლის განმავლობაში განახორციელა სამი შიდა აუდიტორული შემოწმება.

მარწმუნებელ საქმიანობასთან ერთად, შიდა აუდიტი უწევს არაფორმალურ/ზეპირ საკონსულტაციო მომსახურებას მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულებს. (მაგალითად, პროფესიული რჩევის მიცემა შეიძლება განხორციელდეს ადვილად და დროულად დაწესებულებაში არსებული ყველა დაინტერესებული მხარისათვის.)

შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების განმარტების სახელმძღვანელო განსაზღვრავს საკონსულტაციო მომსახურებას, როგორც რჩევით და მომხმარებელთან დაკავშირებულ საქმიანობას, რომლის ბუნებაც და მასშტაბიც თავსებადია მომხმარებელთან, იგი ასევე მიზნად ისახავს ღირებულების გაზრდას, ორგანიზაციის მმართველობით, რისკების მართვის და კონტროლის პროცესების გაუმჯობესებას მენეჯმენტისგან პასუხისმგებლობის აღების გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა არ გამორიცხავს ერთმანეთს. საკონსულტაციო მომსახურება ხშირად არის მარწმუნებელი საქმიანობის შედეგი, როგორც პირიქით, მარწმუნებელი საქმიანობა, შესაძლოა იყოს საკონსულტაციო მომსახურების შედეგი.

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტორთა საქმიანობისას ადგილი არ ჰქონია არანაირ შეზღუდვას.

მოქმედების სფერო (შიდა აუდიტორული შემოწმებების განხორციელებისას)

მაუწყებლის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე იცვლება შიდა აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა. ამასთან, პრიორიტეტების შეჯერებისა და მნიშვნელოვანი სფეროების გამოკვეთის, ადამიანური რესურსების გათვალისწინებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შესაბამისობის/ფინანსური აუდიტი. აქედან გამომდინარე, მოქმედების სფერო ძირითადად მოიცავს:

1. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის/იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის საქმიანობის შესაბამისობის შეფასება

2. მაუწყებლის მიერ დამუშავებული ფინანსური ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება. არსებული რისკების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.
3. სახელმწიფო შესყიდვების პროცესში შემავალი ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება.
4. ადგილზე წამოჭრილი სხვა საკითხების შესწავლა.

განხორციელებული ღონისძიებები

შიდა აუდიტის 2024 წლის წლიური გეგმის საფუძველზე განხორციელდა შიდა აუდიტორული შემოწმებები შემდეგ ობიექტებში:

N	*აუდიტის ობიექტი*	**აუდიტის სახე**	*აუდიტის პერიოდი*	**რესურსი**
1	*საკადრო ბაზის განვითარების, იურიდიული მხარდაჭერის, ფინანსური ეფექტიანობის,* მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის	**შესაბამისობის/ფინანსური**	*2023-2024 წწ*	**ორი**

	სამსახური			

შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად დგება შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი, რომელიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს, მიგნებებს და მოიცავს შიდა აუდიტის პროცესსა და გამოვლენილ ფაქტებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს.

შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი ეგზავნება შიდა აუდიტის ობიექტს იმ მიზნით, რომ მან წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება ანგარიშში დასმულ საკითხებზე.

შიდა აუდიტის ობიექტის მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები, მისი არგუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აისახება საბოლოო შიდა აუდიტორულ ანგარიშში.

შიდა აუდიტის ობიექტის მიერ მოსაზრების მიღებისა და მასთან კონსულტაციის შემდეგ საბოლოო სახით ყალიბდება შიდა აუდიტორული ანგარიში და ეგზავნება მაუწყებლის ხელმძღვანელ ორგანოებს.

საშტატო ერთეულის ანალიზი

მაუწყებლის შიდა აუდიტის სამსახურში დასაქმებულია ორი თანამშრომელი.

2024 წლის განმავლობაში, საშტატო ერთეულის მთლიანი რესურსი მოხმარდა გეგმით გათვალისწინებულ შიდა აუდიტორულ შემოწმებებს.

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა 2024 წლის 07 ოქტომბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით გაიარა საჯარო სექტორის აუდიტორთა სასერტიფიკაციო კურსი და 2025 წლის 23 იანვარს მოიპოვა საჯარო სექტორში აუდიტის განხორციელების უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

შიდა აუდიტორული შემოწმებების განხორციელებისას გამოვლენილი ძირითადი რისკები და გაცემული რეკომენდაციები

1. შეიქმნას მაუწყებელში დასაქმებული პერსონალის განვითარების სტრატეგია და საკადრო პოლიტიკის დოკუმენტი;

2. განახლდეს დასაქმებულთა სამუშაოს/თანამდებობის აღწერა, შეიქმნას დასაქმებულთა საკვალიფიკაციო და კომპეტენციის რუკა.

3. თანამშრომლების პროფესიული განვითარების გეგმის შესამუშავებლად ჩატარდეს გამოკითხვა და განისაზღვროს თუ რა საჭიროებები გააჩნია მაუწყებელს თანამშრომლების პროფესიული თუ პიროვნული უნარების განვითარების მიმართულებით და რა სახის ტრენინგები ესაჭიროებათ თანამშრომლებს;

4. შეიქმნას ცხადი და სამართლიანი სახელფასო და სამოტივაციო სისტემა, რაც უფრო მიზანმიმართულს და პროდუქტიულს გახდის თანამშრომელთა საქმიანობას.

5. მაუწყებლის ელექტრონულ რესურსზე განხორციელდეს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტის შესაბამისად, კერძოდ, სტანდარტი დაცულია, როდესაც: უზრუნველყოფილია ელექტრონულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება;

6. დარეგულირდეს მაუწყებლის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები.

7. მაუწყებელში ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტების ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია მაუწყებლის იურიდიული მხარდაჭერის, ფინანსური ეფექტიანობის და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურებმა, მაუწყებლის მენეჯმენტთან ერთად, ასევე სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით უზრუნველყონ: კონტროლის გარემოს და რისკის მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რაც შესაძლებლობას მისცემს მაუწყებელს განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესის სათანადო კონტროლი.

შემოწმებების შედეგად განხორციელდა შემდეგი სახის რეაგირებები:

შიდა აუდიტორული ანგარიშის მიზანს, ნაცვლად უბრალოდ პრობლემების გამოაშკარავებისა, წარმოადგენს პრობლემების გადაჭრის ხერხების ძიება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგები, რისკები, ასევე, მაქსიმალურად დაკონკრეტებული და შესრულებადი რეკომენდაციები აისახება შიდა აუდიტორულ ანგარიშში, რომელიც წარმოადგენს შიდა აუდიტორული შემოწმების საბოლოო შედეგს და მიეწოდება შიდა აუდიტის ობიექტს და მაუწყებლის ხელმძღვანელ ორგანოებს შემდგომ მუშაობაში გასათვალისწინებლად.

შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული შესაბამისი ქმედებები და ინფორმაცია შეუსრულებელი რეკომენდაციების შესახებ

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ძირითადი საკითხები, კვლავ შეუსრულებელია, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე რომ მაუწყებელში გასამართია შიდა კონტროლის სისტემა.

მაუწყებელში ამჟამად არსებული შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს რისკების მისაღებ დონემდე შემცირებას, რაც ზრდის გადაწყვეტილების მიღებისა და მმართველობის პროცესების თანდაყოლილ რისკებს.

შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა მოითხოვს მეტს ვიდრე მხოლოდ სწორხაზოვან შესაბამისობას პოლიტიკებთან და პროცედურებთან, რაც გულისხმობს განსჯის გამოყენებას. მენეჯმენტი განსჯის გამოყენებით განსაზღვრავს როგორი კონტროლი არის საკმარისი.

შიდა აუდიტის სუბიექტის მოვალეობაა დაეხმაროს დაწესებულების ხელმძღვანელს აღნიშნული სისტემის ადეკვატურობის და ეფექტიანობის შეფასებაში და სისუსტეების აღმოჩენაში. შიდა აუდიტის სუბიექტი არ იძლევა აბსოლუტურ გარანტიას, რომ დაწესებულებაში ადგილი არ ექნება კანონთან შეუსაბამო ქმედებას, რადგან საუკეთესო და სრულყოფილი შიდა კონტროლის სისტემაც კი მხოლოდ ამცირებს, მაგრამ სრულად ვერ აღმოფხვრის შეუსაბამობის არსებობის ალბათობას.

წინადადებები შიდა აუდიტის განვითარების შესახებ

სამსახური საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, სამსახურის დებულების, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის და შიდა აუდიტის სფეროს მარეგულირებელი სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად და მაუწყებლის წინაშე არსებული პრიორიტეტების, მაუწყებლის სისტემის თითოეული რგოლის წინაშე არსებული რისკების გათვალისწინებით.

სამსახურის მიზანია დანერგოს და გააუმჯობესოს მაუწყებლის სისტემაში რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესები, რათა უზრუნველყოს აუდიტის მართვადობა, რისკიანი სფეროების/ობიექტების გამოკვეთა/დასაბუთება და ადეკვატური სახის აუდიტორული შემოწმებების განხორციელება, აუდიტის გეგმის სანდოობა, ასევე, საკადრო რესურსის ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენება.

შიდა აუდიტის უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის მიერ გაცემული და შიდა აუდიტის ობიექტთან შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მაუწყებლის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ გატარდეს სათანადო მმართველობითი ღონისძიებები, წინააღმდეგ შემთხვევაში რისკის მართვის პროცესების ეფექტურობა და მათ გაუმჯობესება ვერ იქნება მიღწეული.

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი: ზვიად ბერიძე

29.01.2025 წ.